**გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება №60**
**2014 წლის 24 ნოემბერი**

**ქ. გურჯაანი**

# „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №28 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში (გამოქვეყნების წყარო: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, სარეგისტრაციო კოდი:010260020.35.166.016156., 25.07.2014წ.) შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულებიდან ამოღებულ იქნეს მე-3 მუხლის 30-ე და 31-ე პუნქტები, მე-4 მუხლის მე-20 პუნქტი და მე-5 მუხლის მე-17 პუნქტი.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **ვანო ბერიძიშვილი**